# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 155
წელიწადი მეორე
1913

კვირა, 29 სეკტემბ.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И“.

ტელეფონი № 149.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე
წელიწადი მეორე

1913 **იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქვრივი ქეთევან ლევანის ასული ჩხენკელისა, ასულნი მისი: თამარა თინა და ნინო, ძედ მამა ეკა და ვასილ ჩხენკელეები, ძმა ნიკიფორე და მეუღლე მისი ზინა შვილებითურთ, დები: სარა ხოშტარიასი და ოლა მისაბიშვილისა, სიძე ილარიონ მისაბიშვილი, დისწულნი: ოლია და მიხაკო ხარაბაველი, ნინო ხარაბავასა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

## მარკოზ ვასილის ძის ჩხენკელის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვაც დანიშნულია სეკტემბრის 29, დღით კვირას, ნაშვადღევის სამ საათზე, დაბა ხონში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ხუთ საათზე.

---

კვირას, 29 სეკტემბერს ჭიათურაში, მღვიმევის მონასტერში დილის 11 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი

## გიგა ჟულელის

სულის მოსახსენებლათ, რასაც მისი ამხანაგები აუწყებენ საზოგადოებას.

---

ქუთაისელი ამხანაგები და მეგობრები ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას დაუვიწყარი

## გიგა ჟულელის

უდროვოთ გადაცვალებას ირკუტსკის გუბერნიაში. პანაშვიდი იქნება გადახდილი კვირას 29 სეკტემბერს, დღის 12 საათზე ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში.

---

გულდათუთქული ქვრისუფალი ზოსიმე ხახულის ძე ქვანია და შვილები მისი: პელო, ალიოშა და ტატუშა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 29 სეკტემბერს გოჭოურის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი მეუღლისა და უკანასკნელების უძვირფასესი დედის

## დარიკო (დარია) გიორგი ცხაკაიას ასულის ქვანიას

ს უ ლ ი ს მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ლ ა თ.

---

# სახალხო უნივერსიტეტი.

კვირას, 29 ევენისთვეს, ქალაქის თეატრში შესდგება წევრთა

## საზოგადო კრება.

**დასაწყისი დღის** $12^1/_2$ ს.

ქუთ. სახალხო უნ—ტის მოქმედების ანგარიში 1912 წ.
სარევიზიო კომისიის მოხსენება.
1913 ხარჯთაღრიცხვა.
გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.
საათიდან დაიწყება წევრების ჩაწერა.

თავმჯდომარე ალ. გარსევანიშვილი.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსებ.., რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი **ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმი 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ?ეწვის მუფთები ქუდები და შალები ღაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა საპადვიოსკე და აგრეთვე მზა პადვიოსკები ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი.

---

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ქუჩაზე **ქალაქის აფთიაქის გვერდით**, ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## ფაზისი,

სადაც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ვახშამი ქართული და ევროპიული **იაფ-ფასათ;** ყოველგვარი ღვინო, ტკბილი სასმელი და ცივი მინერალური წყალი.

**რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების**

---

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

## პაროსი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 | ცალი | 3 შ. | იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც. |
| 10 | — | 6 კ. | |

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოვო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.**
თ ფ ი ლ ი ს შ ი.

---

## თფილისის საპოლიტეხნიკო კურსები, ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწის-მზომელო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწის-მზომელო და საამშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. მეცადინობა 1 ოკტომბერს დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდ-კაპიკიანი მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება საღამ. 4 8 ს., **დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.**

ს. ქვარიანის წიგნი „**შოთა რუსთაველი და მისი პოემის**“ გამოცემა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაგვიანდა რის გამო ბოდიშს ვიხდით. ამას გარდა ვსთხოვ აგენტებს ხელის მომწერთა ფული გამოაგზავნონ. წიგნი გამოვა დაახლოებით 15 ოკტომბრამდი.

ადრესი: Подгорная ул. Сергѣю Герсамія. **გამომცემელი სერ. გერსამია.**

ქუთაისში, ღენერლის ქუჩაზე

## იყიდება

150 ოთხკუთხი საჟენი მიწა ხის სახლით და ორი თვალი ქვიტკირის სამზარეულოთი. მიაკითხეთ ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დ. მაჭავარიანს.

---

ექიმი ვ. ი. ვაჟიკელაშვილი

საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ველარ მიიღებს.

13—15

---

**ა ქ ი მ ი** ვ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30

---

## ექიმი ი. ჩარექოვი

ილებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. ღენერლის ქუჩა, ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

---

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.

---

**აქიმი** კ. ი. **აშიანცი** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. ბ. აშიანცის სახლი.**

---

## სამტრედიის სამზითვო პასის „ქორწილი“-ს

წევრათ ჩაწერა ქუთაისში შეიძლება ბარნაბა ახვლედიანთან:
**მეორე ალექსანდრეს ქ., სახლი №44.**

**ქუთაისი, 29 სეკტემბერი.**

დღეს ოცდა ათი წელი სრულდება, რაც ილია წინამძღვარიშვილმა საფუძველი ჩაუყარა წინამძღვრიანთკარის შკოლას.

თუ რა დაუფასებელი მნიშვნელობა მიუძღვის ხსენებულ სასწავლებელს ჩვენში მეურნეობის აყვავების საქმეში, ან რამდენათ მნიშვნელოვანია ღვაწლი ბ-ნი წინამძღვარიშვილისა, ამას დღევანდელი იუბილე ამტკიცებს; ქართველი ერის გულწრფელმა მოჭირნახულემ, ეროვნული საქმეებისადმი სიყვარულით გამსჭვალულმა ადამიანმა უკვდავყო თავისი სახელი პატარა სასწავლებლის დაარსებით, რომლის მნიშვნელობა ფრიად დიდია. ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ქართული პრესა აფრთოვანებით ეგებება დღევანდელ დღეს, კერძო პირის მიერ დაწყებული საქმე ამ ჟამათ ყველას საზოგადო სიმდიდრეთ მიაჩნია და დღევანდელ დღესაც, ეროვნული დღესასწაულის ელფერი აძევს. ქართველი ერის შეგნებული ნაწილის აფრთოვანებულ გამოძახილს ჩვენც სიამოვნებით ვუერთებთ ჩვენს ხმასა და მათთან ერთად ღრმა პატივისცემისა და წრფელი სიყვარულის გრძნობას ვუძღვნით იუბილიარს, სხვებთან ერთად არ შეგვიძლია ჩვენც არ ვსთქვათ: „გაუმარჯოს წინამძღვრიანთკარის შკოლას, გაუმარჯოს მის გულწრფელსა და დარბაისელ მესვეურს და დე მის მიერ ნააზრევი და ნამოქმედარი დანარჩენ ქართველებს მაგალითად ქონოდესთ და იგი აწიც ქვაკუთხედათ დადებოდეს ქართული მეურნეობის საქმესა და ქართველთა კულტურისკენ სვლას.

## სახ. უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო კრების გამო.

დღეს ჩვენი სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა თვის წევრთა საზოგადო კრებას მართავს. ეს არც ისე უმნიშვნელო მოვლენაა, რომ ჩვენ მკითხველთა ყურადღება ამ გარემოებას არ მივაქციოთ. გაიხსენეთ, რა უნდა იყოს ჩვენთვის სახალხო უნივერსიტეტი.

ევროპაში იგი დაწესებულებაა თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობით გამოწვეული. დღემდი არსებული ორგანიზაცია განათლებისა ანგარიშს არ უწევდა ფართო დემოკრატიის მოთხოვნილებათ, და ეს მიტომ, რომ როგორც საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ სფეროში, ისე და უფრო მეტათ გონებრივი კულტურის ასპარეზზე, მხოლოდ არისტოკრატთა ვიწროთ შემოფარგლული რიცხვი სწევდა ჰაპანს. დემოკრატიული გოლიათი კი სულიერი კულტურის გზის გადაღმა უდარდელათ სთვლემდა. მხოლოდ ახლა წამოდგა იგი და ზანტათ თვალებს ისრესს; მას სწყურია ცხოვრების წინსვლაში **შეგნებულათ** ჩაბმა, მას სურს კულტურის შემოქმედების ფხიზელი სუბიექტობა. იგი თხოულობს თვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ახალ ფორმებს, და აი, მას აწვდიან პოპულიარულ მეცნიერებას სახალხო უნივერსიტეტთა კათედრებიდან.

ამგვარათ სახალხო უნივერსიტეტთა მიზანი მეცნიერების დემოკრატიზაციაა.

მაგრამ ჩვენში სახალხო უნივერსიტეტი სხვა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ღმერთსაც უნდა სცემდეს თაყვანს. მე მესმის მეცნიერების დემოკრატიზაცია იქ, სადაც ნამდვილი მეცნიერება მართლა არსებობს, სადაც არის ქურა დამოუკიდებელი სულის გადამდნობი, სადაც არის ჩაქუჩი მისი ორიგინალობის გამომჭედი.—ჩვენში კი არც ერთია, არც მეორე. ჩვენ გვაქვს შკოლები, მაგრამ მათი დანიშნულება დამოუკიდებელი სულის ჩამოყალიბება კი არ არის, არამედ მისი შესაძლო ჩანასახის ძირიან-ფესვიანათ ამოთხვრა, თავისებურისა და ინდივიდუალურის ზედაპირზე ყველას გამაერთებელი ლალის გადასხმა.

აშკარაა, ოფიციალური შკოლა, ამ მხრით მაინც, მავნე დაწესებულებაა ჩვენთვის; იგი საფრთხეს უმზადებს ჩვენს მომავალს, რადგან იგი ჩვენი სულის დამოუკიდებლობას სამარეს უთხრის.

მაგრამ ჩვენ ხელთა გვაქვს სახალხო უნივერსიტეტი. ვინ იცის, შეიძლება მოსახერხებელიც იყოს ოფიციალური შკოლის ნაკლი მან გვინაზღაუროს. მით უმეტეს არის ეს შესაძლებელი, რომ იგი უმთავრესად ჩვენი დემოკრატიისათვის არის გამოწვეული, იმ დემოკრატიისთვის, რომელსაც ოფიციალური შკოლის კარები არ შეუღია და მის ზღუდეთა შორის სულის დამოუკიდებლობის მომწამვლელი ჰაერი არ უყნოსავს.

მაგრამ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა, როგორც ჩანს, ამ თავის ბუნებრივ მიზანს გვერდს უხვევს. გადახედეთ მის მოქმედებას!

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი სრულიად უნაყოფო იყოს, რო მას სრული უენერგიობის აშკარა კვალი აჩნდეს. მაგრამ იმის თქმაც უმართებულო იქნება, თითქოს გამგეობის მოქმედებას სარჩულად რაიმე განსაზღვრული პრინციპი ედოს, რაიმე შეგნებული მიზანი, რომელიც განსაკუთრებული გზით მიმართავს მთელს მის მიმდინარეობას.

დღემდი სახალხო უნივერსიტეტის მოქმედება მხოლოდ ლექციების მოწყობით გამოიხატებოდა. აბა, დაუკვირდით ამ ლექციებს! თქვენ ვერ ნახავთ ისეთს რასმე, რაც სისტემის ჩანასახს მაინც მოგაგონებდეთ მათს ამორჩევაში. ყველაფერს შემთხვევითი ხასიათი აქვს, ყველა თითქო მხოლოდ მისთვის არის წაკითხული, რომ ერთი კვირა მაინც ულექციოთ არ დარჩენილიყო.

შთაბეჭდილება ასეთია:

აი, დაუარსებიათ სახალხო უნივერსიტეტი, აურჩევიათ გამგეობა და საქმის წინ გაძღოლა დაუვალებიათ. გამგეობასაც გაუგონია, რომ სახალხო უნივერსიტეტებში საზოგადოთ ლექციებს კითხულობენ, და აი, იგიც ცდილობს ყოველ კვირას ლექციების კითხვა მოაწყოს; ოღონდ ლექცია კი იყოს, და როგორი იქნება იგი და რა სახის, ეს გამგეობისთვის სულ ერთია, თავის მოვალეობა მას ასრულებული გონია.

მაგრამ ასეთი მოქმედობა ხომ იგივე უმოქმედობაა, ვინაიდან უმიზნო და უპრინციპო ენერგიის ხარჯვა უბრალო წყლის ნაყვაა და ან საუკეთესო შემთხვევაში თამაშია.—და მერე, ბატონებო, განა გამართლდება რითიმე ასეთი მოღვწეობა?

სახალხო უნივერსიტეტი დიდიდან თვისი დაარსებისა ფულებს აგროვებს, მაგრამ დღემდი არ გვინახავს ისეთი რამ, რისთვისაც ეს ფული გროვდება და იხარჯება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი წიგნაკის გამოცემასა და ფარნის შეძენას, რომელიც დღემდი სრულიად უსარგებლოთ არის ოთახში ჩაკეტილი.

და მერე რით აიხსნება ეს საკვირველი გარემოება? მიზეზი იგივე მიზნისა და მოქმედების პრინციპის უქონლობაა! მართლაც, სხვაგან ყველგან უსახსრობას სჩივიან; აქ კი საშვალება არის, მაგრამ არავინ სარგებლობს. რათა? მიტომ რომ არ არის მიზანი, რომელიც უნდა მსჭვალავდეს გამგეობას და ათას გზას აძებნიებდეს ამ მიზნის განხორციელებისათვის. სადაც არ არის მიზანი, იქ საშვალებაც ზედმეტია, ვინაიდან განსახორციელებელი არაფერია.

სალამოს კურსები დიდი დაწესებულებაა, დიდი თვისი მნიშვნელობითა და შესაძლო როლით. მაგრამ არსებული გამგეობის ხელში იგიც ისეთსავე უსარგებლო და უმიზნო დაწესებულებათ გადაიქცევა, როგორც ყველაფერი სხვა.

ჩვენ ვხედავთ ამგვარათ, რომ სახალხო უნივერსიტეტის როლი ჩვენში დიდი უნდა იყოს, მაგრამ იგი დღევანდელ პირობებში სრულიად უმნიშვნელო გამხდარა.

და ეს მიტომ, რომ გამგეობას არ აქვს ნათლად გარკვეული პრინციპი მოქმედებისა, არ აქვს მიზანი, გულის გამთფობი, ენერგიის შთამბერი, სიცოცხლის ტემპის გამაღვიძებელი.—აშკარაა იქ ისეთი ატმოსფერა დამკვიდრდა ამ წლების განმავლობაში, რომ ყველა ცოცხალ დაწყებულებას უსიცოცხლობის ელფერი ედება და უდროოთ ჭლექდება.

ვინ იცის, შეიძლება გამგეობის წევრთა შორის შეუთანხმებლობა, ან მალული უნდობლობა არსებობდეს. და თუ ეს ასეა, მაშინ ყველაფერი გასაგები დარჩება. ან კი რათ არ უნდა იყოს ასე, როდესაც გამგეობის წევრთა შორის ზოგი ისეთი პირია, რომელიც პროტესტსა და **ზიზღს** უცხადებს „თანამედ. ქვეყნის“ პირით ზოგს თავის ამხანაგს გამგეობაში, როგორც „საზიზღარ ნაციონალისტს“. Ens.

## თ. უჩა დადიანის
### პროცესის გამო.

არც ერთს მწერალს—რომანისტს, ან დრამატურგს, არ შეუძლია ისეთი საშინელი სინამდვილით გამოაშკარავოს საზოგადოებრივი ტკივილები, გვამცნოს მის ორგანიზმში ჩასახული სენი, როგორც ამას დიდი სასამართლო პროცესები შვრებიან. ასეთი პროცესები გვაბრუნებენ ცხოვრების შუა გულს, გვახედებენ შიგ, გვითითებენ იმ შიშველ სინამდვილეზე, რომელიც რეალურათ არსებობს. ხშირათ ასეთი სინამდვილე ყოველ ფანტაზიას გადააჭარბებს ხოლმე. ტყუილათ კი არა სთქვა გასულ ზამთარში ცნობილი პრასოლოვის დამცველმა იზმაილოვმა. ამ პროცესმა მოსკოვს მუცელი გაუფატრა და შიგ დაგუბებული აშმორებული სიბინძურე გადმოანთხევიაო. ზემოხსენებულმა პრასოლოვის საქმემ მართლაც მოსკოვის პლუტოკრატიის ზნეობრივი გაკოტრების სურათი ვადაგვიშალა. „მოსკოვის სავრასები“ თურმე სისტემატიურ ნადირობას მართვენ სხვის ცოლებზე, დებზე, ასულებზე. არ ინდობენ არავის, ვინც მათ მახეში გაებმოდა. ყოფილა ისეთი ოჯახის პატრონები, ქმრები,რომელნიც ცოლების ვაჭრობას არ ერიდებოდენ, სიღარიბის მიზეზით კი არა „სტრელნასა“ და „იარში“ საქეიფო ფული რომ არ შემოკლებოდათ.

ამ „ბრწყინვალე თაობას“ მხოლოდ ერთადერთი ღმერთი ყავს—ეს ფული, ფული და ფული. ფულის გულისათვის არ დაინდობს არავის, გაყიდის საყვარელ ცოლს, დას და თავის თავსაც! მერე რათ უნდა ეს ფული?!

რა ფასი აქვს ამათ ხელში ფულს? მხოლოდ საფლანგავათ. იმისთვის რომ თავისი გარყვნილების ქინი მოიკლან. ორივე სქესის ალფონსობა უმთავრეს შემოსავლის წყაროთ გამხდარა ამათთვის. ჩვენ აღარას ვიტყვით პეტერბურგის სამოსამართლო ეპოპეაზე. პოლონელი მაგნატის თ. ზაკოზელსკა-ოგინსკის მილიონებისა და ტიტულის შესაძენათ რომ ყალბი ანდერძი შეადგინეს პეტერბურგის უმაღლესი წრის უპირველესი გვარდიის პოლკის აფიცრებმა—მამამ და შვილმა ვონლიარლიარსკებმა. ამ პროცესში ბევრი წარჩინებული ბიუროკრატი, სენატორი და სხვები იყვნენ ჩარეული. ამ დღეებში დაიწყება კიევში ბეილისის საქმე, რომელსაც ცხოველი ინტერესით შეყურებს მთელი ევროპა. ჩვენც არ მოგვიძულა ბედმა და ერთი ასეთი დიდი საქმე მეორეთ გაირჩა ამ დღეებში ბაქოში. ჩვენ ვგულისხმობთ უგ. თ. უჩა დადიანის საქმეს. მრავალ მხრივ საინტერესოა ეს პროცესი ჩვენთვის. ჩვენი აგრეწოდებული მაღალი საზოგადოების ნაწილის „სამძიმო საქმენი“ აქ, ამ პროცესში გამომჟღავნდა.

გუშინ დეპეშით ცნობა მივიღეთ, თფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ კავკავის ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცაო. ვინც ამ პროცესის მსვლელობას თვალყურს ადევნებდა, ასეთი განაჩენი უეჭველია მისთვის მოულოდნელი იქნება. ეს განაჩენი მშვენივრათ ახასიათებს ჩვენში გამეფებული იუსტიციის „თავისებურობას“. აშკარაა, მოსამართლენი ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას წინაწარ, სამოსამართლო გამოძიების მსვლელობას, იქ გამორკვეულ ფაქტებს. არა სჩანს, რომ რწმენის მიხედვით სწყვეტდენ საქმეს, რადგანაც რწმენას რაიმე საფუძველი უნდა ქონდეს. ასეთს საფუძველს კი გამოძიება არ იძლევა.

რომ ვისიმე მომხრეობა არ დაგვწამონ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ არსებითად საკითხს არ ვეხებით, არც ვისმე დანაშაულს და არც უდანაშაულობას ვამტკიცებთ. ეს ჩვენ კომპეტენციას ა[რ] შეადგენს. ხოლო თუ მაინც საპირო[ვნ]ად ვსთვლით ზემოაღნიშნულზე მიგუთითო[თ], მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდე[ვ] ხაზი გავუსვათ ჩვენი იუსტიციის მიუ[კერძოებელი] სამართლის წარმოებას. აქ რასაკვირვე[ლია], ახალი არაფერია, ამგვარ ამბავს ე[ს] დიხანია შევეჩვიეთ. უჩა დადიანის სა[]ქმეს უფრო სხვა მხრით აქვს ჩვენთვი[ს] მნიშვნელობა. პროცესში მონაწილე[]ნი ჩვენი ბრწყინვალე წოდების უპირვე[]ლესი წევრებია. აქ ორი უძლიერეს[ი] გვარი ერთმანეთს დაეტაკა და არსა[დ] ისე ადამიანის ხასიათი და ბუნება ა[რ] იცნობა, როგორც ასეთი ბრძოლი[ს] დროს; არც ერთი მხარე არ ერიდე[ბა] არავითარ საშვალებას რო მოწინაამდე[გე] ტალახში ამოისვაროს; ერთმანეთს უყ[ე]ნებენ ისეთ ბრალდებებს, რომელსა[ც] საქმესთან არავითარი დამოკიდებულე[ბა] არა აქვს, რომლის ერთადერთი მიზანი[ა] მოწინაამდეგის პიროვნებას ჩირქი მო[]ცხოს. „თქვენ ურიის ხატი მიყიდე დი[დ]მთავარს,—თქვენ საფლავებიდან მკვდრე[]ბი ამოთხარეთ და ძვირფასი ნივთეუ[]ლობა აართვით!“ აი, როგორი საბუთე[]ბით სურს თითოეულს მათგანს ფონს გა[]ვიდეს. ჩვენ ამ საქმესა და მის მოქმე[დ] პირთ მკითხველის ყურადღებას არ მივა[]ქცევდით, რომ შიგ ჩვენი მაღალი წო[]დების ერთი ნაწილის დაცემა და დაკნი[]ნება არ გამოიხატებოდეს. ერთ დრო[ს] ერის მოწინამძღვრე წოდება, რომელმა[ც] თავის წრიდან მრავალი გმირი წარმოშვა[] ისტორიის დროთა ბრუნვაში დიქვე[]თებულა, დაცემულა. თუ არა სრულ[ი] დიქვეითების ნიშნები, სხვა რა არის ის სა[]მარცხვინო პოლემიკა, რომელიც ა[მ] ზაფხულზე ქუთაისის გუბერნიის წინამძ[]ღოლებს ქონდათ. რას ამტკიცებს ყოველ[ი] ეს თუ არა ზნეობრივ სიკოტრეს ი[მ] აწრისს სადაც ასეთ შემაძრწუნებელი ამბე[]ბს ადგილი აქვს. ერთიმნეთის გაშავებ[ა] სურთ და მიზანსაც მიაწიეს. ვინმე.

# ახალი ამბავი.

24 სეკტემბერს ქალაქის სანიტარულ[ი] კომისიას სხდომა ქონდა, სადაც წაიკით[]ხეს საექიმო განყოფილების მოწერილო[ბა]

# ქებურიას ფრენა.

მაღალი და ჩასუქებული სოფიო დღეს მოუთმენლათ მოელოდა ქმრის შინ დაბრუნებას. სადილობის ჟამს ივანეც მოვიდა. ეტყობოდა ხასიათზე არ იყო: სახე შეწუხებული, წარბშეხრილი ქონდა... სადილი ისე გაათავა, რომ ცოლისთვის სიტყვა არ უთქვამს. მხოლოდ ნასადილევს ხელსახოცი უკმაყოფილოთ მოისროლა და სთქვა:

— დღეს ქებურიას ფრენაზე ვერ წავალ. თავი ისე მტკივა, თითქო მჭედელი შემძვრალიყოს და უროს სცემდეს. და მგონია წასვლაც არ ღირს: ამბობენ, —ქართველ კაცს ჯერ მიწაზე ვერ უსწავლია სიარული და ჰაერში რა გააფრენსო.

ამის გაგონებაზე სოფიოს სუქან ლოყებზე ორი ბროწეულის ყვავილი გაჩნდა და ქმარს მრისხანეთ მიუბრუნდა:

— ახლა ოთხი-ხუთი მანეთის დახარჯვა გეზარება და იმიტომ არის, რომ ავათმყოფობას იგონებ! რას იგრიხები და იმანჭები, ბარემ სთქვი პირდაპირ! დღეს ყველა იქ იქნება! მთელი ქუთაისი თავს მოიყრის, მე კი შინ უნდა დავკრუხდე...

— ქალო, შენ ჩემს მდგომარეობაში არ შედიხარ! ათასი საქმე მიჭირს, შენ კი იქით იქაჩები, სადაც უსაქმური ხალხი მოგროვდება.

— რაო, რაო!? ერთი კარგათ გაიგე, რას ამბობ. თითქოს მე შენი ორგული ვიყო! სისხამ დილიდან სალამომდი ოჯახს დავტრიალობ, შვილებს ვზდი, ხუთი წელიწადია, რაც ერთი ნაჭერი ჰინჰი მაცვია და კიდევ მესაყვედურება, ეს სალახანა!

ამ სიტყვებზე ივანე ადგილიდან წამოიჭრა და მიაძახა:

— წადი, სადაც გინდა! სულაც აყოლიხარ იმ ქებურიას!

მიბრუნდა საწოლ ოთახში შევიდა და კარი მოაჯახა.

— წავალ. დიახაც წავალ! ფეხით წავალ! და წამოიჭრა ახლა ცოლიც, საჩქაროთ გამოეწყო, შვილს მესამე კლასის მოწაფეს ხელი დაავლო და საფრენი მიდვრისკენ გაეშურა.

გულის ფანცქალით მოელოდა სოფიო ფრენას. ფიქრობდა:—

ვაი თუ არ აფრინდა, მაშინ ხომ საყვედურით დამახჩობს ის ბაშიბუზუკი და თვალს კალიის მზგავს მანქანას არ აშორებდა...

გავიდა მცირე ხანი... დაიგვრგვინა მუსიკამ, შეინძრა ხალხი, გაისმა მანქანის ზუზუნი, უცნაური ჩოჩქოლი ატყდა... მანქანამ მერცხლის სისწრაფით სივრცეში გაინავარდა და შორს მიიმალა.

— ღმერთო ხელი მოუმართე!—სთქვა ძლივს დამშვიდებულმა სოფიომ და პირჯვარი გადაისახა.

მფრინავი ჰაერში დიდხანს დარჩა... შემდეგ ლამაზათ, წყნარათ მიწაზე დაეშვა.

სოფიო საშინელმა სიხარულმა აიტაცა. იგი მიაბიჯებდა, მაგრამ მიწას არა გრძნობდა.

გზაზე ბიცოლა თებრო შემოეყარა. გაიმართა მათ შორის შთაბეჭდილების გაზიარება. ბოლოს თებრომ სოფიო ჩაიზე მიიწვია.

გვიან იყო, სოფიო რომ შინ დაბრუნდა. ივანე ლოგინში ჩაწოლილი არხეინათ ხვრინავდა. დაღლილმა სოფიომაც გაიხადა და ქმარს მიაძახა:

— გაიწიე, ადგილი მომეცი!.. ივანემ თავი წამოყო და მკვახეთ უთხრა:

— რა მოხდა, რა იყო?!

— არაფერი! ათასჯერ მითქვამს, ჩემს ბალიშზე ნუ...

— ჰმ.., ხომ არაფერი დაგსიზმრებია?!.

— სიზმარში შენ იყავი საცოდავო, მე კი ცხადათ ვნახე!!

— რა ჯანდაბა ნახე?..

— ის, რაც სიზმარშიც არ მოგელანდება! დაეგდე ოთახში, შენმა თავის ხეთქამ ფანჯარაში შემოგიფრინდება!.. არა, შე ცოდვის შვილო...

— კარგი, თავი დამანებე, თვარა ღმერთმანი, ამელამ ერთს ისეთს აგაფრენ, რომ...

— რაო?!

— გაწყვიტე ხმა!—შემოშურდა გაბრაზებული ივანე და იდაყვი კრა ცოლს გვერდში.

— უი! შეკივლა სოფიომ და ქმარს წვერზე ხელი წაავლო...

რკინის ტახტი შეიძრა... მართულები აზუზუნდა... საბანმა შრიალი მორთო... და ორივე იატაკზე ფრენით დაეშვენ...

ჯ. ჯორჯიკია.

# „და მხოლოდ ეს?“

ქორწინებას შემდეგ მიიღეს მშობლებისგან ლოცვა-კურთხევა, დასტოვეს ეკლესია და ჩასხდენ მათთვის გამზადებულს ეტლში. ეტლის კარები მძიმეთ მიიხურა და მთრთოლვარე ხელი მოეხვია წერწეტა წელს, მხურვალე ბაგე გრძნობით დაეკონა მარმარილოს ცივ ლოყას...

— ყოველივე ეს შენთვის გავამზადე, ჩემო სანატრელო, დატრიალდი შიგ იფუსფუსე, იბატონე, არვინ დაგიშლის. ყველა და ყველაფერი შენს სურვილებს უმორჩილდება, ჩემო დედოფალო.

— უთხრა ქმარმა, როცა ელექტრონის ფოლაქს შეეხო თითით და გაჩაღებულ დარბაზში შეიყვანა...

საწოლი შორიდან მოსჩანდა, ზღაპრულ შვენებას გავდა...

— კმაყოფილი ხარ? ხომ ყოველივე გემოვნებით არის შეხამებული... ხომ... რაც არ მოგწონდეს რამ გამოცვალე...

როგორ მიყურებ... გაგაცვიფრა...

არ მოელოდი? ეს ცივი გამოხედვა... თითქოს აღარ გიყვარდე.·. ჯერ კიდევ გუშინ...

— ოჰ, ნუ, ნუ დამირღვევ იმ ნეტარ ხსოვნას, ნუ შეეხები უკვე გადასულს... ნეტავი ერთის წუთით მაინც დამიბრუნა გუშინდელი დღე...

გუშინ ისე თფილოდა, მიღიმოდა მზე შემნატროდა ყველა და ყოველი... დღეს... რაღაც მცივა... შიშს განვიცდი...

— შიშს განიცდი, როცა ჩემთან ხარ? მე დაგიფარავ ყოველივესაგან, ჩემო საუნჯევ. მფარველ დარაჯათ გედგომება ჩემი მარჯვენი...

ღონიერმა მარჯვენმა მაგრათ ჩაიკრა გულში...

ცივმა ტუჩებმა კვლავ ეჭვით გაიღიმეს.

როცა დასცხრა მღელვარე ზღვა, და მძვინვარე ცეცხლი ჩაქრა, დამშვიდებული სუნთქვა გაისმა მძინარე მამაკაცის.

მეორე მისი ნახევარი დარცხვენილი მისჩერებოდა კუთხეში დადგმულ ტიტველ ქანდაკებას. ის მოკუნტული იჯდა საწოლზე გრძნობდა სირცხვილსა და დამცირებას...

— და მხოლოდ ეს? მხოლოდ ეს? ფუ!

დახედა მძინარეს...

— და ეს მიყვარდა, ვაფრენდი აღმა.. რა უნდა იყოს ამას იქით? ეს და მხოლოდ ეს... „იფუსფუსეო“... შვილები... სიბერე და სიკვდილი? ფუ...

ნელა შეეხო მძინარეს ხელით...

— გესმის ჩემი გულის ცემა, ჰია, ჰია შეჯდა ჩემს ტვინში და დამიფარე შენის ღონიერის მარჯვენით...

მას-კი ისევ ისე ეძინა...

— სძინავს კმაყოფილს...

ნელა წამოდგა, ტანთ ჩაიცვა...

— ჩემმა თვალებმა ვეღარ გახილოს შემდეგ ამისა.

ნელა გაიხურა დერეფნის კარი და გადაწყვეტილი ნაბიჯი გადასდგა მდინარისკენ. მარიამ გარიყული.

# ქალის სიმღერა.

1.

ღამეა, ის მარტო ზის ფანჯარასთან. მღერის... მარტო მთის წყაროს შეუძლია ასე იმღეროს.

გული უმღერის, მეგობარს იწვევს.

ყურს უგდებს ნიავის ჩურჩულს, ლამაზი ნიავი ფოთლებში მეგობარს ეძებს.

ქალმა გაიგონა ნიავის ჩურჩული, გაიგონა ნიავის სიმღერა და ისიც მღერის ნიავთან; ისიც ეძებს უხილავ მეგობარს...

2.

იდაყვს დანდობია მოლზე წამოწოლილი ჭაბუკი. მისი ბწყინავი თვალები გულიდან ამოთლილ ისრებს შეუთამაშებს ნაძვის შტოზე გადმომჯდარ ქალს.

აეკლუცი მღერის. სიყვარულს უმღერის იგი.

მწუხრია. ბნელი ეხვევა ნაძვნარს-იდუმალობა ნელა გადადის ნაძვის წვერიდან ნაძვის წვეროზე...

ისინი მარტო არიან. ქალი მღერი[ს] ნაძვზე გადმომჯდარი. მისი თვალებ[ი] ვაჟს უცქერიან, მისი თვალები სამოთხე[ს] გრძნობენ.

ნიავი ფოთოლს ჩაკვდომია, ნიავი ფოთოლს კოცნის.

3.

ყრუ ქუჩაში დაიმღერის. მკრთალი სახე შეულესავს... მუშტარს დაეძებს... გამვლელ ჭაბუკს თვალი გადაუკრა; ზიზღით შეხედა მან.

ყრუ ქუჩაში დაიმღერის ქალი.

ჯარის კაცმა ხელი კრა; ჯარისკაცმ[ა] სიმღერა შეაწყვეტია. იმანაც ჩაიარა[;] იმანაც უარი უთხრა...

შედგა ქალი, ჩაფიქრდა... თვალებ[ი] ცრემლით აევსო.

ფარნის ბოძს მიეყრდნო... ის აღარ მღერის; გულამომჯდარი ქვითინებს...

ყრუ ქუჩაში მარტო ქარი დაიმღერი[ს] და მტირალი ქალის გაწეწილ თმას აფ[ა]რიალებს...

ცხოვრებაზე მღერის ქარი...

პეტერბურგი. ალ. ცირეკიძე.

* * *

# რიპარ შუაკალიდან.

ჩემს ზღაპრულ სამეფოს საერთო არა[]ფერი აქვს ყოველდღიურ საზიზღარ სი[]ნამდვილესთან.

ჩემი სამოსი პოეზიაა და მეფური კარა[]ვი—ვარსკვლავებით მოჭარგული ცა.

მე ვარ რტო პერიკლეს საუკუნესი დ[ა] არა ფერმიხდილი, სუსტი ნაზარეველი.

მე უკანასკნელი ათინელი ვარ, და სი[]ლამაზით მთვრალს, მიყვარს ყველაფერი[,] რაც ჩემს გარშემო ბრწყინავს და თამა[]შობს:

მდიდარი ფარჩა, ბერბერიის ცხენი, მო[]ელვარე თასი, ფალერნის შავი ღვინო[,] ზურმუხტივით ცივი სისხლიანი ფოლად[ი] და შენც, ოდეს ვეფხის ტყავზე, მთლა[დ] ტიტველი მნებდები, ჩემო ღვთაებავ!

ჯ.

შესახებ იმისა, რომ ქუთაისის გუბერ- ხოლერის მხრით საშიშათ არის ცნო- ი და საჭიროა ღონისძიების მიღება. აისში ხოლერის შემოტანის წინა- ღეგ კომისიამ ერთხმად მიიღო სანი- ული აქიმის ვალ. ლორთქიფანიძის ხენება ამ საგნის შესახებ და ამასთან- ადგინა—ეთხოვოს ქალაქის სანი- ულ ნაწილს—განაახლონ მოქმედება ს რაიონებში; ეთხოვოს აგრეთვე იცმეისტერს ცირკულიარული მოწე- ობა დაუგზავნოს ბოქაულებს, რომ ლიერონ მეთვალყურეობა სანიტარუ- მხრით. იმ შემთხვევაში, თუ ხოლერა ა, ქუთაისში გადმოებ სენიანთა სა- მყოფოში გადაყვანილ იქნეს აქიმი ქოვი, საავათმყოფოს ვენერიული ოფილება კი მიენდოს აქიმ ნემსა-

საზნაურო გიმნაზიის საბჭომ თა- უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა— ავნოს მასწავლებლები ს. რობაქიძე . დათეშიძე წინამძღვარიანთ შკო- 30 წლის იუბილეზე დასასწრებლათ. წინამძღვარიანთ კარის შკოლის ლეზე სახალხო უნივერსიტეტის დე- ატათ იქნება ს. რობაქიძე, რომელიც ლიარს ადრეს წაუკითხავს. გამგე- აგზავნის შემდეგ დეპეშს. ქუთაისის ხო უნივერსიტეტი სალამს გიძღვ- 30 წლის საზოგადო მოღვა- ის გამო. უსურვებს აყვავებას იმ ტურულ დაწესებულებას, რომელიც ნის თაოსნობით მოევლინა მეურნე. გამავრცელებელ წყაროთ საქარ- ოში. იცოცხლე ძვირფასო. იუ- არო დიდხანს ჩვენი გლეხობის ებლოთა და სასიხარულოთ.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი სა- დოების ქუთაის. განყოფილებამ მძღვარიანთ კარის შკოლის იუბილეზე სწრებლათ ბ-ნი კ. ბერეკაშვილი ავნა.

დღეს 3 საათზე ქებურიას ფრენაა ზნული. ცოტახანს შემოივლის ქუ- და შემდეგ 4 საათისათვის ხო- ნ გაფრინდება. ეს პირველი მაგა- , რომ კავკასიაში გამზადებული ით გადაფრენა მოწყობილიყოს.

სეკტემბრის 15-დან 21-მდი ჭია- დან—1231 ვაგონი შავიქვა გაუ- ით ე. ი. 900 ათასი ფუთი.

ჭიათურის საავათმყოფოს აქიმი ს. ანი საბჭოსაგან მოსკოვს იგზავნე- შემოდგომის კურსებზე ვენერიულ ყოფობათა და ბაკტეროლოგიის ებ ლექციების მოსასმენათ.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ ია დურგლის ხოხიაშვილის საქმე ლსაც ორი ვაჟის გახრწნა ბრალდე- . სასამართლომ ბრალდებულს წლის კატორგა გადაუწყვიტა 300 მანეთი ერთი გახრწნილი ს საქმოთ.

რედაქციამ მიიღო ქუთაისის სა- ო უნივერსიტეტის მოქმედების რი ანგარიში.

ბაღდათის ამხანაგებისაგან გლოვის ი მივიღეთ გოგა ჯუღელის გადა- ების გამო.

ქებურიას სასარგებლოთ შესწირეს მიანე საკაშვილმა 5 მანეთი, ი ჩომახიძემ—10 მანეთი, გიორგი აძემ—10 მან.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალ- მკვლევარის ი. ყიფშიძის მიერ მული „Житіе и мученичество нтонія—Раваха—ცხოვრებაი და წმიდისა ანტონი რავახისი, რო- გი ჰმონებდა შჯულსა ისმაიტელ- მერმე იქმნა ქრისტეს მოწამე კე- ალსაარებითა და მართალითა ნოებითა.

ნს წარმძღვარებული აქვს მეცნიე- გამოკვლევა, ქართული ტექსტის ლოგიური კომენტარიები. ღირს ბათ. იყიდება თ. მთავრიშვილის მაღაზიაში.

სტატე ესებუას თავისი ოჯახი- დაუცია აქაური ეთნოგრაფიული დოების გამგეობისთვის ერთი ძვე- ი თოფი, რომელიც წონით ნა- ფუთია.

ამავე საზოგადოების გამგეობისთვის სვიმონ ისძე ჯაფარიძეს ჭიათური- მოუგზავნია 9 ძველი ფული, რო- შორის სამი ეგვიპტის ფულია ნის დროისა—ფულზე ცხადათ ხარის თავი. (Аписъ).

# მიხრან ანანოვის გატაცება.

პარასკევს საღამოს ქუთაისს ელვის სისწრაფით მოედვა ხმა—ავაზაკებმა გაი- ტაცეს მდიდარი მემამულე, აჯამეთის პატრონი ანანოვიო.

მიხრან ანანოვი დიმიდან გამოსულა ავტომობილით. დიმსა და ფერსათს შუა მას ყურძნის საწყობი აქვს გამართული. სწორეთ აქიდან მიდიოდა შინ. აჯამე- თის ტყეში, რომ შესულა, ავტომო- ბილისთვის გზა გადაუჭრიათ დიდი ხით, ტყიდან გამოსულ შვიდს შეიარაღებულ კაცს. ავტომობილი შეჩერებულა, ორს შოფერი გადმოუსვამს, ხუთს ანანოვი და ორივე ტყეში წაუყვანიათ. ნახევარ სა ათს შემდეგ გათავისუფლებული შოფე- რი დაბრუნებულა და იმ წამსვე ქუთა- ისს მოიჭრა ავტომობილით და აცნობა ყველაფერი მთავრობას. ჯარი და პო- ლიცია სწრაფათ გაემართა აჯამეთისკენ. წაიყვანეს მაძებარი ძაღლები. ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა. ყველა გაფაციცე- ბით მოელის, რა ბოლო მოყვება ამ ამბავს... მთელი ბაღდათის მხარე შე- ძრწუნებულია ამ ავაზაკური მოვლენით. ხალხი მძლიერია საერთოდ ამ მდიდა- რი მემამულისა და მოვალეცაა, რომ თვით ეცადოს ავაზაკების ამოჩენას.

## მიხეილ თამარაშვილის ხ ს ო ვ ნ ა ს.

ხვალ (30 სეკტემბერს) ორი წელიწა- დი სრულდება მას შემდეგ, რაც იტა- ლიის ნაპირებზე ზღვამ იმსხვერპლა ღვდე- ლი მიხეილ თამარაშვილი, რომელიც რომში ვატიკანის არქივში მუშაობდა და კრეფდა საბუთებს საქართველოს შესა- ხებ. ამ დაუღალავმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო; თამარაშვილმა დაგვიტოვა ისე- თი ძვირფასი გამოკვლევები, როგორიც არის: ა) ისტორია კათოლიკობისა ქართ- ველთა შორის, ბ) პასუხად სომხის მწერ- ლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ- კათოლიკობას და გ) ფრანგულ ენაზე „L'eglise Géorgienne“—საქართველოს ეკლესია. თამარაშვილმა კარდინალების კრებას წარუდგინა აგრეთვე ერთი მო- ნოგრაფია ქართველ-კათოლიკეთა შესა ხებ. ამას გარდა მას დარჩა ხელნაწერები. რომელშიც აგრეთვე უნდა იყოს სხვადა- სხვა სურათები საქართველოს ცხოვრე- ბიდან; რომის არქივიდან ამოღებული ექვსი სურათი თამარაშვილს გამოუგზავ- ნია მამა დამიანესთვის ქუთაისში. ეს სურათები ქუთაისის ქართველ-კათოლიკე- თა არქივში ინახება, მხოლოდ სამი ამათ- განი მოთავსებულია ფრანგულ ენაზე დაწერილ წიგნში და სამი კი გამოუქვეყ- ნებელია. რასაკვირველია, ბევრს აქვს თამარაშვილის წერილებიც, სადაც ბევ- რი საინტერესო ცნობაა საქართვე- ლოს შესახებ; მაგალითად, ახალციხის იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის მო- ძღვარი მამა სერაბინე მერაბაშვილი დაგვ- პირდა თამარაშვილის წერილებს, რო- მელსაც მიღებისთანავე გამოვაქვეყნებთ,

მიხეილ თამარაშვილი რამდენიმე წლო- ბით მოშორებული იყო თავის სამშობ- ლოს, და ამ სამშობლოს სიყვარულისა- თვის ეძებდა უცხო ქვეყანაში დამამტკი- ცებელ საბუთებს იმის შესახებ, რომ სა- ქართველოში მყოფი კათოლიკენი, რო- მელთა ქართველობას სომეხთა მეცნიერ- ნი უარყოფდენ და დღესაც უარყოფენ, ქართველები არიან. და სწორეთ ამ სა- ბუთების ძებნაში დაღლილი მიხეილ თა- მარაშვილი იმ უბედურ დღ საც გამოვი- და ზღვის პირას გასასეირნებლათ. ამ დროს შეამჩნია ზღვაში მუშა, რომელიც ტალღებს ებრძოდა და შველას ითხოვდა. თამარაშვილი მსწრაფლ გადავარდა მისა- შველებლათ, მაგრამ ტალღებმა მუშას- თან ერთად გამოასალმა სიცოცხლეს პა- ტიოსანი, სამშობლოსათვის თავდადებუ- ლი მკვლევარი.

ქ. ადჯეს. სოსო ასლანიშვილი.

## უგან. თ-დის უჩა დადიანის საქმე.

ანა ერისთვის ასული კნ-ნა ბაბილი- ლინას ბიმაშვილი, ამბობს, რომ მკვლე- ლობა მოაწყო უსათუოდ თ-დმა უჩამო. ერთხელ მან ჩემთან სთქვა: „უნდა გა- ვუსწორდე ალექსადრეს“-ო.

სასამართლო კითხულობს მოკლული ბოქაულის ნემსაძის დაწვრილებით ჩვე- ნებას.—

— მე ნათლიმამობით დავუახლოვდი კახიძეს; მან მითხრა, რომ ალექსანდრე მოკლეს ჩემი რევოლვერით და მეც იქ ვიყავიო. ერთხელ ჩემთან მოვიდა ვინმე ბობოხიძე და მითხრა, რო მას დიდი საჩუქარი აძლიეს, თუ მკვლელს მონა- ხავსო და მე მირჩია თ-დი ალექსანდრე მომეკლა. ამ მკვლელობის მომწყობნი იყვენ თ-დი ალექსანდრე და კნ-ნა ბა- ბილინა. მკვლელის საჩუქრათ 500 მანეთი იქო გადადებული. მაშინ მე და ბობოხი- ძემ მოვნახეთ აქიმი ტრიანტაფილიდის მკვლელის ძმა ცინცაძე, რომელმაც თ-დი მოკლა. შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ ცინცა- ძე და როდესაც მას მაზრის უფროსმა კითხა: „ვისი ჩაგონებით მოკალი თავა- დიო?“

ცინცაძემ მიუთითა დადიანსა და კ-ნა ბაბილინაზე და სთქვა, რომ ის ამ მკვლე- ლობას მარტო ფულისთვის არ მოახდენ- და; მას აღუთქვეს ჩვენება მისი ძმის—აქ. ტრიანტაფილიდის მკვლელის—გამცემისა და უფრო სისხლის აღების წყურვილმა გადაადგმევინა ასეთი ნაბიჯიო.

ნაშვადღევის $4^1/_2$ ს. სხდომა შესწყდა საღამოს $6^1/_2$ საათამდი.

საღამოს სხდომაზე განაგრძობენ სხვა- დასხვა საბუთის კითხვას. მათ შორის საინტერესოა კნ.ნა ბაბილინას მიერ თ-დი ალექსანდრესთვის მიწერილი ბა- რათი.

— „შენ ამბობ, სწერს ის, ვითომ მე ავათმყოფობას ვიგონებდე და ოზურგეთ- ში წასვლა არ მინდოდეს. ვფიცავ დე- დის საფლავს, ავათ ვარ. თუ ვინმე იტყვის, რო მე შენთან დამნაშავე ვარ, თავს მოვიკლავ. ფული მე არა მაქვს: თითქმის თამბაქოს ყიდვას ვერ ვახერ- ხებ.

ხალხი ახმაურდა.

სიტყვას თხოულობს თ-დი უჩა. ის თითქმის ორი საათის განმავლობაში და- წვრილებით აწერს მისი დაპატიმრების, ჰაუპტვახტიდან ციხეში წაყვანას, იქიდან ისევ დაბრუნებას. აგრეთვე ეხება იმ გამომძიებელს, რომელსაც რაღაც მიზე- ზის გამო ცუდათ მიყავდა საქმე და მას საშვალება არ მისცა საქმის ვითარება ნათლად გამოაშკარავებულიყო ცხელს კვალზე, ვიდრე ათასს სხვადასხვა ყალბს საბუთსა და უსახელო წერილებს არ გაუვრცელებდენ.

საღამოს 10 საათზე პალატა იწვევს ორ ექსპერტს, რომელთაც უნდა შეა- მოწმონ რევოლვერი და ტყვია. აღმოჩნ- დება, რომ ის ტყვია, რომელიც ნახეს მოკლულის ტანში არ არის იმ რევოლ- ვერის, რომლითაც ჩადენილია მკვლე- ლობა.

ღამის 1 საათზე სხდომა შესწყდა.

მეორე დღე.

სხდომა განახლდა დილის 9 საათზე- დარბაზი გაჭედილია ხალხით; უმრავლე- სობას ქალები შეადგენს. დიდი ხალხი ფეხზე სდგას.

მოსამართლეთა მაგიდას უსხედან პრო- კურატურის წევრები და გენერალი.

**ბრალმდებლის სიტყვა.**

„აპელიატორთა აზრი კავკავის ოლ- ქის სასამართლოს შესახებ, ვითომ გან- ჩინება ემყარებოდეს. გავრცელებულს ხმებს, სიმართლეს მოკლებულია. რომ მკვლელობა თ-დმა დადიანმა და კ-ნა ბა- ბილინამ ჩაიდინეს ეს ცხადია, სიმართ- ლეა სასამართლოს ის აზრი, რომ და- დიანს მკვლელობა ჩაადენია შიშმა, რომ ის დუელში არ მოეკლა თ-დს დადიშკე- ლიანს. მართალია, დადიანი ყოჩაღი და მამაცი ადამიანია, მაგრამ თავისი მიზნის შესასრულებლათ ეს თვისებები გამოსა- დეგი არ იყო. დუელი ორივე მხარეს- თვის მჭრელი იარაღია: შეიძლება მოკ- ლა, შეიძლება მოგკლან. პირველ შე- მთხვევაში თ-დი უჩა თავის მიზანს მია- წევდა, მეორეში—ვერა, ვინაიდან ეს მი- ზანი კნეინა ბაბილინას სიყვარული და მასთან ახლო კავშირია.

აი, რისთვის დასჭირდა თ-დს დადიანს დაქირავებული მკვლელები.

მე ვფიქრობ, რომ კავკავის ოლქის სასამართლომ კნ-ნა ბაბილინას გამართ- ლებით მთელს საქმეს თავი მოსჭრა და ცოცხალი სული ამოართვა.

ნუ თუ ცხადზე უცხადესი არ არის, რომ თ-დ დადიანთან ერთად მკვლელო- ბის სისრულეში მოყვანა სურდა მოკ- ლულის ცოლს, კნ-ნა ბაბილინას?

მოვიგონოთ რომ ამ ორ ბრალდებულთ შორის არსებობდა ხორციელი კავშირი და მაშინ საეჭვო არ იქნება მათი მი სწრაფება და სურვილი თ-დ ალექსან- დრეს მოკვლისა, ვინაიდან მხოლოდ მაშინ იყო შესაძლო მათი კავშირის უშიშრათ და თავისუფლად გაგძელება!

მოსამართლენო! თქვენი საქმეა კნ-ნა- ბაბილინას პასუხი აგებით მარტო წა- ქეზებაში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მისი სავსებით გამართლება შეუძლებე- ლია, რადგანაც, წარმოუდგენელია, მას არ სცოდნოდა, რო მისი ქმარის მოსაკ- ლავათ ემზადებოდენ.

რაც შეეხება თ-დ დადიანის როლს, ამის შესახებ სასამართლოს რამდენიმე ვერსია აქვს. მაგრამ თუ თითოეულს მათგანს ჩვენ საქმის ცოდნით, დაკვირ- ვებითა და წინდახედულათ გავითვალის- წინებთ, ვნახავთ, რომ გარდა ბრალმდებ- ლის ვერსისა ყველა სიმართლის მოკლე- ბულია. ავიღოთ პირველი ვერსია: „თ-დი ალექსანდრე მოკლეს მის მიერ თავდაც- ვის დროს მოკლულის ნათესავებმა“. მაგრამ თ-დ ალექსანდრეს კაცი შემოაკვ- და ოცი წლის წინათ. და როგორ ამ ხნის განმავლობაში მოსისხლეებმა შესა- ფერისი დრო ვერ ნახეს?

„თ-დი ალექსანდრე მოკლეს გლეხებმა ან რომელიმე მისმა ხელქვეითმა“—ეს ყოველივე სალ შეხედულებას მოკლებუ- ლია? თუ თ-დის მოკვლა სურდა მომხდა- რიყო ამ ნიადაგზე, განა ეს უფრო ადვილი მოსახერხებელი არ იყო ოზურ- გეთში ტყეში ჩასაფრებულთ, ვიდრე ქ. ქუთაისის შუა გულში და ისიც დღით?

საქმიდან ჩანს, რომ „ადმინისტრაციამ რკინის გზაზე დააპატიმრა ალშიბაია და ბაკურია, რომელთაც განზრახვა ქონდათ თ-დი ალექსანდრე მოეკლათ, მაგრამ მათი სურვილის შესრულებას პოლი- ციის შემთხვევითმა ჩარევამ სისრულეში არ მოიყვანა. განა ამ დებულებას ლომიძის მიერ მოკლულის გაფრთხილებაც არ ამტკიცებს?

განა კახიძემ და ცინცაძემ პირველ ჩვე- ნებაში რომ სიმართლე ილაპარაკეს ამას რევოლვერი არ ამტკიცებს?

მაზრის უფროსმა ზაკუსოვმა თ-დს ალექსანდრეს თავისი მფარველობა მია- წოდა.

— თქვენ გახსოვთ მოსამართლენო, მოკლულის პასუხი: „ვერა, თქვენ ვერ დამიფარავთ, პოლკოვნიკო, მე საფრთხე თ-დ დადიანისაგან მომელის!!!

დამცველთა კორპორაციამ სასამართ- ლოს ასეთს ვერსიაზე მიუთითა: „თ-დი დადიშკელიანის მკვლელი შეისყიდა ჩი- კვაიძემ, ბოქაულმა ნემსაძემ და მაზრის უფროსმა ოლხოვსკიმ“.

თუ ჩიკვაიძისა და ნემსაძის შესახებ შე- საძლებელია ეს აზრი ვიქონიოთ, პოლ- კოვნიკი ოლხოვსკი—კი ყოვლის მიზე- ზის გარეშე ამ მოქმედებაში გარეთ უნ- და დარჩეს.

როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ოლხოვსკის არ შესწევდა იმდენი გამჭრიახობა, რო მოკლულის სხეულში ნახული ტყვია შეედარებია რევოლვე- რის ყალიბისთვის?

როგორც ვხედავთ, ყველა წამოყენე- ბული ვერსიები მოკლებულია სალ შეხე- დულებასა და აზრს!

ყოველივე ეს ნებას მაძლევს მხარი დავუჭირო ოლქის სასამართლოს ბრალ- მდებლის თანაშემწის პროტესტსა და ვითხოვო იცნათ ყველა ბრალდებულები დამნაშავეთ და მათ შორის კნ-ნა ბაბი- ლინაც.

(გაგძელება იქნება).

# მეც მომისმინეთ

(ბ. როკითელის წერილების გამო).

ყოველივე საშვალებას მოკლებული ვიყავი თვალყური მედევნებია ქართული ჟურნალ-გაზეთებისათვის: ჯერ საპატიმრო ში ვიყავი, შემდეგ კი პოლიციის მხედვე- ლობის ქვეშ აგარაკ პესოჩინში ვცხოვ- რობდი და ამგვარათ საშვალება არ მქონდა ხარკოვის სამკითხველოში ქარ- თული ჟურნალ-გაზეთები მეკითხა; თუმცა საშვალებაც რომ მქონოდა, სამკითხვე- ლოს ქართული გაზეთები არ მოდიოდა, როგორც ეს არა ერთჯერ შემოუჩივლია ემთვის რამდენიმე ქართველ სტუდენტს (მიზეზი, ბ. როკითელო, თქვენს გულით- თად მეგობარს კითხეთ)!

წავიკითხე მხოლოდ უკანასკნელი წე- რილი ბ. როკითელისა ბ. ისარის წინა- აღმდეგ მიმართული. ბ. როკითელი ჩვეუ- ლებისამებ, უშვერი სიტყვებით ილან- ძღება, მაგრამ ეს მისი ბუნებრივი თვი- სებაა და არა ამას მინდა მივაქციო მკითხ- ველი საზოგადოების ყურადღება. ბ. როკითელი ბძანებს: „მე ფაკტებით და- ვამტკიცე, რომ ალ. წერეთლისთვის არც დასელებს და არც კერძოთ მე ჯაშუშობა არ დაგვიბრალებიაო“...

არ ვიცი, როგორი ფაკტებით დაა- მტკიცა ბ. როკითელმა ეს, ხოლო ვისაც მისი პირველი წერილი წაუკითხავს („განთიადის“ მეორე ნუმერში), შეუძლებელ- ია, არ იგრძნოს სიყალბე ბ. როკითე- ლის მოყვანილი აზრისა. ან იქნებ და- გავიწყდათ, ბ. როკითელო, მუქარსაც კი გვითვლიდით—შეიძლება, წერეთლის სა- ქმის მიჩუმება სურდეს, „მაგრამო...“ რას ნიშნავს ეს სიტყვები, ბ. როკითელო? თუ თქვენ ვერ გამოთქვამთ მის მნიშვნელობას, (და არც გასაკვირველია, რადგან საგა- ზეთო წერილებს „მეგობარი“ გიწერსთ). წერილის ნამდვილი ავტორისთვის მაინც ვეკითხათ! ძლიერ კარგათ ვიცით, თუ რისთვის მიმართეთ ამ საშვალებას, გსურ- დათ ერთის კალმის მოსმით მიწასთან გაგესწორებიათ ჩემი პიროვნება და მით სახელი გაგეტეხათ ახლად დაარსებული არჩილ ჯორჯაძის სახელობის ჯგუფისა- თვის. და ამ მხრით პირდაპირ პროვო- კაციულ საშვალებათაც კი მიმართეთ: თქვენ მიერ ათამაშებულ ბ. ჭეიშვილს შემდეგი განცხადება გამოაკვრევიეთ. ვსთხოვ ქართველ სტუდენტებს ამა და ამ აუდიტორიაში შეიკრიბონ ჩემსა და ცნობილ ჯგუფს შორის მომხდარ ინციდენტის გამო. (ხაზი ჩემია—ა. წ.) ეს ცნო ბა კი ადგილობრივმა რუსულმა გაზეთმა „უტრომ“ გადაბეჭდა, ვგონებ „იუჟნი კრაიმაც“. შემდეგ „განთიადშიც“ თვი- თონ თქვენ სწერდით, „დიდებულო პუბ- ლიცისტო:“ „ალ. წერეთელმა **შეკრიბა გზადაბნეული მამულიშვილებიო** (ხაზი ჩემია) და სხვა. ერთი სიტყვით, ქუჩაზე, თუ სხვა ადგილს ისეთი აურზაურით ბაასობდით ჩემსა და არჩილ ჯორჯაძის სახელობის ჯგუფის შესახებ, რო მთავ- რობამ ყურადღება მოგვაქცია. რის შე- დეგიც ვგონებ ყველამ იცით: ადგილო- ბრივი ჟანდარმთა სამართველოს განკარ- გულებით თავს დაგვეცენ პოლიციელნი და ჟანდარმები თორმეტ კაცსა და თავი ციხეში გვიკრეს. დიახ, ბ. როკითელო, შექმენით ისეთი ატმოსფერა, რომელშიც ჩვენი დაპატიმრება შესაძლებელი შეიქ- ნა. საზაფხულოთ კი სამშობლოში წაბ- ძანდით და იწყეთ „პუბლიცისტობა.“ დარწმუნებული კი იყავით, რო მე სა- შვალება არ მქონდა პასუხის გაცემისა, და თქვენთვისაც ხომ ეს იყო საჭირო. ნუ თუ ისე წაგეხოცათ ადამიანური შე- გნება, რომ ჩემსა და ჭეიშვილის შორის მომხდარს სამედიატორო სასამართლოს შემდეგ კვლავ გაიმეორეთ თქვენი ბინ- ძური ბრალდება! ნუთუ სათვისტომოს გამგეობის წევრის პორტფელისთვის კაც- მა ამდენი უტიფრობა უნდა იკადროს!

ალ. წერეთელი.

ქ. ხარკოვი.

# ერთი იმათთაგანი.

21 სეკტემბერს, საღამოს მრეწველთა საბჭოს ჭიათურის აბანოს წინ ვიდექით და ვსაუბრობდით ამ სტრიქონების და- მწერი, „კოლხიდის“ ნარედაკტორალი მ. ჯაფარიძე და ფერშალი ბიკტორ კი- კვიძე. იქვე ორ ნაბიჯზე იყო გაჩერებუ- ლი შავიქვის მრეწველი ბ. ფილიმონ კობახიძე.

ამ დროს ჩვენს ჯგუფს შემოუერთდა ერთ დროს სათათფიროში ვითომ და ჩვე- ნი ინტერესების დასაცავათ გაგზავნილი ბ-ნი სიმონ წერეთელი. საუბარი გვქონ- და, სხვათა შორის, წლევანდელ მოუსავ- ლობაზე ჩვენში. ს. წერეთელმა სრულიად უადგილოთა და გაუგებრათ ჩვენი უკვდა- ვი მგოსნის ილიას სახელი ახსენა. როცა ეს შევნიშნე, ბატონმა წერეთელმა არც აცივა, არც აცხელა და ერის სიამაყე ისეთი სიტყვებით მოიხსენია, რომლის ხმარებაც დაბალი ხარისხის სამიკიტნო- შიც კი შემაშფოთებელია მისთვის, ვისაც კი ადამიანის სახე აბადია.

ჩვენი გულისწყრომა ყველამ გაუცხა- დეთ ბ. სიმ. წერეთელს, მაგრამ მან ერთიც კიდევ მოიხსენია უდიერათ მგოს- ნის სახელი და დასძინა. „მე ილია—მემა- მულეს ვაგინებ და არა მგოსანსო“...

რა დაგვრჩენოდა—შეძრწუნებულნი გავშორდით ამ ნადეპუტატარ ინტელი- გენტს(?)... ნაკიფორე ასათიანი.

# ზემო იმერეთი.

ს. ნავარძეთი. იმ სოფელთაგან, ჭია- თურას რომ გარს არტყია და რომლებ- ზეც კაი ხანია გავლენა იქონია განათ- ლების მხრით შავიქვის წარმოებამ, სო- ფელი ნავარძეთი თითქმის გამოთიშულია და სწავლა განათლების მხრით ისევ იმ მიყრუებულ სოფლებს ეკუთნის, საცა ჯერ ისევ ყველაფერი სიბნელითაა მო- ცული. განა სატირალი არაა დღევან- დელ ცხოვრებაში შკოლის მაგიერ სო- ფელში სამიკიტნოს ხსნიდეს ხალხი და იქ არღნის ტია-ტიაზე და ლოთობაში

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო
საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთი
რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი
პირობებით.
სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთზე გასულ წელთან შედარებით
ფასები დაუკლო.

ახლად მიღებულია ჩანთები (რანცები)
მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში ჩვენ მივაქცევთ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეებისთვის
„დღიური“ „Дневникъ“
რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს მოწაფის მოთხოვნილებასა და შედარებით იაფ ფასად იყიდება.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, [illegible] ტაგზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის [illegible] ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ატარებდეს დროს? სწორეთ ასეთ მოვლენას შეხვდებით დღეს ნავარძეთში, რომლის გარშემოც მეზობელი სოფლები ხარბათ ეწაფებიან სწავლა-განათლებას. შეიძლება შკოლის უქონლობის მიზეზათ ნავარძეთში ვინმემ დაასახელოს, რომ ვითომ ახლოსაა ჭიათურაზე, რომლის შკოლებითაც სარგებლობს იგი, მაგრამ, არა მგონია, ეს ასე იყოს, რადგან ჭიათურაზე უფრო ახლოსაა სხვა სოფლები, და აქვთ თუ სამინისტრო და ან საბჭოს შკოლები, მაგალითად: შუქრუთი და ზედარგანი ორი ვერსითაა დაცილებული ჭიათურაზე, საცა ორკლასიანი საბჭოს შკოლებია, პერევისა და მღვიმევი სამი ვერსითაა დაცილებული ჭიათურაზე და პირველში ერთკლასიანი სამინისტრო შკოლაა, მეორეში კიდევ საბჭოსი; ჭილოვანი და ნავარძეთი ხუთი ვერსის მანძილზეა ჭიათურაზე, პირველში ერთკლასიანი სამრევლო შკოლაა და მეორეში არც ერთი.

სოფელ ვაჭევში, რომელიც ჩვენსავე კაცხის საზოგადოებას ეკუთნის და შესდგება ასამდი კომლი მცხოვრებისგან, მოუხერხებიათ ერთკლასიან სამრევლო შკოლასთან კიდევ ერთკლასიანი სამინისტრო შკოლის გახსნა, ნავარძეთს კი გაცილებით მეტს (ას-სამოც კომლ მცხოვრებს) ვერც ერთი შკოლის გახსნა ვერ მოუხერხებია დღემდი და ძალა უნებურათ ტყავს იძრობენ და სავალდებულოთ იხდიან იმ შკოლის შენახვას, რომლითაც ვერც ერთი მცხოვრები სიშორის გამო ვერ სარგებლობს. კაცხის სამინისტრო ორკლასიან სასწავლებელთან, რომლის შენახვაც ვალად აწევთ ნავარძეთლებსაც და ვერ სარგებლობენ მით, კიდევ ხსნიან საქალებო შკოლასაც, რასაკვირველია, ნავარძეთლებსაც ზედ-მეტი უსარგებლო ხარჯი მოელისთ. ვერ ვიტყვით, რომ ფრიად სასიამოვნო არ იყოს ბ. კაცხის სასწავლებლის ზედამხედველის მხრით საქალებო შკოლის გახსნა იქვე, მაგრამ მიხედეთ ბატონო, მიყრუებულ სოფლის გაჭირვებასაც. როდესაც ცდილობთ ერთი კუთხისკენ მიმართოთ მთელი სიძლიერე ლამპრის სხივებისა, ერთი სხივი მაინც მიაშუქეთ იმ ბნელ კუთხეს, რომელსაც თითქო განზრახ ზურგს აქცევთ.

ერთი სიტყვით, თუ დღეს ნავარძეთს შკოლა არ აქვს, თუმცა წყურვილი სწავლა-განათლების დღეს ყველგან დიდია, ამის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ არ გამოჩნდა კაცი, რომ ხმა ამოიღოს.

გერასიმე ნავარძეთელი.

## ხმა მოსკოვიდან.

ტრამვაის მოსამსახურეების გაფიცვა.

19 სექტემბერს ტრამვაის მოსამსახურენი, რომელთა რიცხვი 7050 კაცს აღემატება, გაიფიცენ. გაფიცვა გამოიწვია მოსამსახურეების ეკონომიური მოთხოვნილების დაუკმაყოფილებამ და მათი წარმომადგენლების დაპატიმრებამ. ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ამ გაფიცვამ ქალაქი და მცხოვრებნი. ქალაქის თვითმართველობას ამ უკანასკნელ თვეებში წინაამდეგ სმეტისა 1 მილიონზე მეტი მანეთი დაუხარჯავს. ეს ფული წარმოადგენს ქალაქის დეფიციტს. ახლა ამას დაემატა ტრამვაის გაფიცვა. საშვალოთ შემოსავალი ტრამვაის დღეში 40,000 მანეთი ყოფილა, გასავალი მოსამსახურეებზე და სხვ. ტრამვაიაზე ხარჯი დღეში 30,000 მან., ამ რიგათ ყოველ გაფიცულ დღეს ქალაქს ტრამვაიდან 10,000 მანეთი ზარალი აქვს. ამას უნდა დაუმატოთ ცენტრალური ელექტრონის სადგურის შეჩერება. ამ სადგურის შეჩერებით ქალაქის სუყველა დაწესებულებებსა და ქუჩებს ელექტრონული განათება დაეკარგა. ქალაქს თურმე აუარებელი ფული უზის ამ დაწესებულებებისა და ქუჩების განათება. მცხოვრებნიც ცუდ მდგომარეობაში არიან განსაკუთრებით მუშები და საშვალო კლასი საზოგადოებისა, რომლებიც ბინის, ოთახისა და საწოლის სიძვირის გამო ქალაქ გარეთ სცხოვრობენ. გარდა ამისა ამ გაფიცვამ იქონია დიდი გავლენა ბაზარზე საერთოდ ვაჭრობაზე, ფაბრიკა-ქარხნებზე, თეატრებსა და სასწავლებლებზე, ყველაზე უფრო ეს გაფიცვა ცუდ მდგომარეობაში მუშებს აყენებს, რადგანაც დილიდან საღამომდი მუშაობენ და დილა-საღამოს 7—10 ვერს გზას ფეხით აკეთებენ. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, ამ გაფიცვას მუშები დიდის ყურადღებით ეპყრობიან და გაფიცულთა ინტერესებს იცვენ.

ამ გაფიცვით მხიარული და მადლობელი მხოლოდ მეეტლეები არიან. თუ უწინ საშვალო შემოსავალი მეეტლისა დღეში 3—4 მანეთს არ აღემატებოდა, ახლა ყოველ გაფიცულ დღეს ისინი 10-12 მანეთს აკეთებენ.

ამ გაფიცვამ ძილი გაუფრთხო ქალაქის თვითმართველობასა და ტრამვაის ადმინისტრაციას. თითქმის ყოველდღე თათფირი აქვთ, ყოველდღე ახალ-ახალ მოწოდებებს აცხობენ; მოუწოდებენ გაფიცულთ დაუყონებლივ მუშაობა დაიწყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სუყველას დაითხოვენ. მაგრამ გაფიცულები მტკიცეთ მოითხოვენ თავის მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას.

ჯერჯერობით წარმომადგენლების გარდა დაუპატიმრებიათ 45 კაცი. დაპატიმრებულთა საქმე პროკურორისთვის გადაუციათ და საქმის წარმოება უკვე დაწყებულია. ტრამვაის ადმინისტრაცია არწმუნებს გაფიცულთ მუშაობა დაიწყონ და მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იქნება, მაგრამ გაფიცულებმა შეატყვეს, რომ ქალაქის თვითმართველობა განზე სდგას და ამისთვის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ არც თავის ადმინისტრაციის რწმუნებას, არც ქალაქის თავის მოწოდებებს და მტკიცეთ გაფიცვას განაგრძობენ.

ორიოდე სიტყვა მოსკოვის ქუჩებზე.

როდესაც ქუჩაზე გამოხვალ, გეგონება სახალხო დღესასწაული უნდა იყოსო: ტროტუარები ხალხით არის გაჭედილი. სუყველა ოფლში გაწურული ხვნეშით მიეჩქარებიან დილას სამსახურისკენ და საღამოს-ბინისკენ.

ენ—გან.

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

| | |
|---|---|
| თფილისს: | სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ. |
| ბათომს: | სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ. |
| ფოთს: | საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ. |
| შორაპანს: | საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ. |
| ტყიბულს: | სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ. |

ქუთაისს მოდის.

| | |
|---|---|
| თფილისიდან: | სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით. |
| ბათომიდგან: | ფოშტ. 1 ს. 20წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. დ.; სახ. 7 საათ. დილ- |
| ფოთიდან: | საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. დ. |
| შორაპნიდან: | საავგ. 9 ს. 31 წ. დილ. |
| ტყიბულიდან: | სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დილ. |

ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.
ქ. ქუთაისში კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში იყიდება მისივე გამოცემა
ქართული სახელმძღვანელო
„საქართველოს ისტორია,“
მესამე გამოცემა სურათებითა და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. სიმონ ქვარიანის მიერ. წიგნი ღირს ყდით ორ აბაზათ.
„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ“.
ყოველი ერი მაშინ მიდის წინა და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას. ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესათ დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე მით უფრო მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორია, მათ შკოლებში უმთავრესსა და უსაყვარლეს საგნებს შეადგენს: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათი განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.
ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ იგი რა იცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნებაც გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობრივათ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,
ამ მოსაზრებით ამ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველესი დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტროსა და სასულიერო სასწავლებლებში. თავისი მარტივი, გასაგები ენითა და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.
დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ გამოდის მესამე გამოცემათ ხუთი ათასი ცალი. გვწამს, რომ მას შეხვდებიან ჩვენი შკოლები, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველს ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკაძის სურათი.
გამომცემელი კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА
ПРОДАЕТСЯ
очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ съ флигелемъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ пол[illegible] десят. сосновой рощи съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ узнать: г. Кисловодскъ до востебованія, Генеральшѣ Якуловой.

აგარაკ სურამში, საიდანაც მივდივართ,
იაფათ იყიდება
დიდი ორსართულიანი სახლი ფლიგელით, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახევარ დესეტინაზე ნაძვნარია, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ მისამართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს იაკულოვისას (до востребованія).

აქციონერული საზოგადოება.
ს. პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა
იზმაილოვის პროსპ. № 27
პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიჟნ-ნოვგ. 1896.
ქინაქინის წყალი თმისთვის.
როგორც შეზავებული ჯანმრთელობისთვის არა მავნე ნივთიერებიდან პეტერბურგის საქიმო მართველობისაგან სავაჭრო დებულებათა მიხედვით გასაყიდათ ნებადართულია.
იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

ახალი უვნებელი საშვალება
რძე პირსახისათვის „ბ ე ტ ტ ი“
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.
არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს საღავათო. განყოფილება ქ. ქუთაისში პ. ა. შავერზოვის აფთიაქის მაღაზიაში.

ხრესილი
ვქირაობ თეთრი აბანო
სამკურნალო
აბანო
ძვირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

გ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მ[illegible] ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ვუთზენიშანს „БЕМСКО[illegible]“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილება, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.